ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6167290

ნომერი: AR1925329

თარიღი : 28.09.2022

გაცემის თარიღი : 18.10.2022

გაცნობის თარიღი : 18.10.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი შენგელაიას ქუჩა, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ჩეხერია პ/ნ 01017025224
- შევჩენკოს #5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილული იქნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი 31; 13.10.2022წ.) რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ.თბილისში, დადებითი შეფასება ქ.თბილისში, მ.წინამძღვრიშვილის ქ.N37-ში არსებულ შენობაზე კარ-ფანჯრების გამოცვლის საკითხს.
საკითხის განხილვისას თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზი, კერძოდ:

1. ფასადზე საჩრდილობლის განთავსებასთან დაკავშირებით დამატებულ იქნას შემდეგი ნომენკლატურა: I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები > საჩრდილობლის მოწყობა > რეკონსტრუქცია;
2. ფასადზე სამისამართო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით დამატებულ იქნას შემდეგი ნომენკლატურა: I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები > შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი > რეკონსტრუქცია;
3. ..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი :

- ფასადზე საჩრდილობლის განთავსებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნას 14-39 დადგენილების მუხლი 34. ამასთან საპროექტო ობიექტი ზომების მითითებით ასახულ იქნას საკადასტრო გეგმაზე;
- სამისამართო აბრის განთავსებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალკიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის პოზიცია;
- ფოტომონტაჟზე ყველა საპროექტო ობიექტზე მითითებულ იქნას ზომები, ნიშნულები, მასალები და ფერის კოდები;

4. წარმოდგენილი მინდობილობა ვადაგასულია. წარმოდგენილ იქნეს შპს "სითი ლოფტიდ" დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული ახალი მინდობილობა;

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.
აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.